

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)

სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №40

ქ. თბილისი

2017 წლის 30 ნოემბერი

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2018 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი (დანართი 1).
2. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2018 წლის პირველი ნახევრის, 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდის შესყიდვების გეგმა (დანართი 2).
3. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მოთხოვნა საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან (GRDF) ამონაგები თანხების ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) ანგარიშზე ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის (GRDF) ამონაგები თანხების გამოყენების შესახებ (დანართი 3).
4. ინფორმაცია სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) კონტრაქტორი სამშენებლო კომპანია შპს "ინტერ პლიუსის" მიერ დაგროვებული დავალიანების დაფარვის თაობაზე (დანართი 4ა).
5. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და „JV S.C. IMPEX ROMCATEL Cercetare Proiectare S.A., Romania in association with Scientific, Design – Technological Enterprise “INDUSTRIA” Ltd., Georgia“ შორის:
 - ა) 2015 წლის 25 დეკემბერს გაფორმებულ # PP05-A3/GEP/CS/LCS/03/115/TO4-164 ხელშეკრულებაში (მეთხე ტექნიკური დავალება, ე.წ. Task Order N4) განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 5გ) და ინფორმაცია აღნიშნული ცვლილებების შესახებ (დანართი 5ა).
 - ბ) 2014 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულ # PP05-A3/GEP/CS/LCS/03-115 ჩარჩო ხელშეკრულების ვადის გაგრძელება (დანართი 5ბ);

6. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ორი წარმომადგენლის ზაზა კიკვაძის, IDS ბორჯომი საქართველოს გენერალური დირექტორის და ნინო ჩინჩალაძის, საერთაშორისო განათლების ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2018 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი (დანართი 1).
2. დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2018 წლის პირველი ნახევრის, 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდის შესყიდვების გეგმა (დანართი 2).
3. ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის (მეორე კომპაქტი) საფუძველზე, დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, გადარიცხოს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან ამონაგები თანხა სრული ოდენობით ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს ანგარიშზე. ამასთანავე, მოწონებულ იქნას ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის (GRDF) ამონაგები თანხების გამოყენების შესახებ (დანართი 3);
4. მოწონებულ იქნას ინფორმაცია სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) კონტრაქტორი სამშენებლო კომპანია შპს „ინტერ პლიუსის“ მიერ დაგროვებული დავალიანების დაფარვის თაობაზე (დანართი 4ა). სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველომ (MCA-Georgia) უზრუნველყოს 2017 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით შპს ინტერ პლიუსის და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველი კომპანია Eptisa Servicios de Ingenieria S.L-ის მიერ დადასტურებული მიმდინარე სახელფასო ან/და მომსახურების გაწევის შედეგად ფიზიკური პირების მიმართ წარმოშობილი დავალიანების გასტუმრება, შპს „ინტერ პლიუსის“ საბანკო გარანტიის ამონაგები თანხიდან. მოწონებულ იქნას კომპენსაციის ხელშეკრულების პროექტი (ქართული ვერსია დანართი 4ბ, ინგლისური ვერსია დანართი 4გ).
5. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და „JV S.C. IMPEX ROMCATEL Cercetare Proiectare S.A., Romania in association with Scientific, Design – Technological Enterprise “INDUSTRIA” Ltd., Georgia“ შორის:

ა) 2015 წლის 25 დეკემბერს გაფორმებულ # PP05-A3/GEP/CS/LCS/03/115/TO4-164 ხელშეკრულებაში (Task Order N4) განსახორციელებელი ცვლილების პროექტი (დანართი N5ა).


ბ) 2014 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულ # PP05-A3/GEP/CS/LCS/03-115 ჩარჩო ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ პროექტი (დანართი 5ბ), და

გ) მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მალრამეს, გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულებები.


6. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ორი წარმომადგენლის ზაზა კიკვაძის, IDS ბორჯომი საქართველოს გენერალური დირექტორის, და ნინო ჩინჩალაძის, საერთაშორისო განათლების ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადა გაგრძელდეს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:


გიორგი კვირიკაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



მიხეილ ჩხენკელი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე




მამუკა ზახტაძე
საქართველოს ფინანსთა მინისტრი



თეა წულუკიანი
საქართველოს იუსტიციის მინისტრი



მიხეილ ჯანელიძე
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



ზაზა კიკვაძე
IDS ბორჯომი საქართველოს
გენერალური დირექტორი



ნინო ჩინჩალაძე
საერთაშორისო განათლების ცენტრის
დირექტორი

